№ 148 1877 – 1897 № 148

სამშაბათი, 22 ივლისი 1897 წ.

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი —ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

დღესასწაულისა გამო, შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 ივლისს

**კაიშაურის ეკკლესიის ამშენებელი კამიტეტი** ამ-თ აცხადებს, რომ დუშეთის მაზრის სოფელ კაიშაურში **უნდა აშენდეს ახალი ეკკლესია** დამტკიცებულის გეგმით. მსურველს შეუძლიან **ნარდად აიღოს მისი აშენება.**

პირობებისა და ფასის შეტყობა შეიძლება ექსარხოსის კანცელარიაში და სოფ. კაიშაურის მღვდელთან.

(4—144—2)

**მთავრობის განკარგულებანი**

ებოძათ კაპიტნობა—მისის იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის არტილერიის რაზმის შტაბს-კაპიტანს მამაცაშვილს; შტაბს-კაპიტნობა—ნიკოლოზის აკადემიის მთავარ შტაბის პორუჩიკს—თეთრუაშვილს; პორუჩიკობა პოდპორუჩიკს თავ. მაყაშვილს; ყაზახის ცხის არტილერიის პოდპორუჩიკს—ქორქაშვილს. პოლკოვნიკობა—ტფილისის ოლქის არტილერიის სახელოსნოს უფროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელს კაპიტანს კობიაშვილს.

## ახალი ამბავი

⁂ როგორც რუსული გაზეთები იუწყებიან, ახლად დანიშნული ტფილისის გუბერნატორი თ. ი. ბიკოვი თავისს თანამდებობის აღსრულებას ამ კვირია შეუდგება.

⁂ შაბათს, 19 ივლისს, დილის 11 საათზედ, გარდაიცვალა ტფილისში, დიდის ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისის ოლქის სასამართლოს სააპელაციო განყოფილების თავმჯდომარის ამხანაგი სტატსკი სოვეტნიკი სიმონ ივანეს ძე ელაგინი.

⁂ წელს რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება გამართავს პირველად ბაღოსნობის გამოფენას კავკასიაში; გამოფენა დაიწყება 15 ოქტომბერს და გასტანს იმავე თვის 31 რიცხვამდე. ხსენებულის საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ ყოველი საშუალება იხმარა, რომ გამოფენაში რაც შეიძლება ბევრმა მიიღოს მონაწილეობა.

⁂ ახალქალაქის მაზრის უფროსის თხოვნით, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება ჰგზავნის ახალქალაქის მაზრაში ცალკე კომისიას, რომელიც მოახდენს იქ ახალქალაქის მაზრის მემამულეთა და გლეხთა თანადასწრებით სხვა და-სხვა განკარგებულის სამეურნეო იარაღის გამოცდას. ამ საქმისათვის უკვე გაგზავნეს ახალქალაქში 40 გუთანი და მრავალი სხვა სასოფლო სამეურნეო იარაღი.

⁂ ჩვენ უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების სამინისტრო ჰგზავნის კავკასიაში ბ-ნ ვიტმერს ფილოქსერასთან ბრძოლის საქმის დაახლოვებით გასაცნობად. როგორც გაზ. „ბირჟ. ვედ.“ იუწყება, ბ ნი ვიტმერი ჯერ საზღვარ-გარედ წავა სდა იქ დაწვრილებით შეისწავლი ფილოქსერის და იმასთან ბრძოლის საქმეს, შემდეგ კავკასიაში მოვა და გაიცნობს ამერიკულ ვაზის მოსაშენებელ ვენახის მდგომარეობას. ბ. ვიტმერი აგრეთვე გაიცნობს კავკასიის და ბესარაბიის საფილოქსერო კომიტეტებისა და ინსტრუქტორების მოქმედებას.

⁂ იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა დაფასება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის სადგურის მახლობლად მდებარე თავ. ა. ამათუნის მიწისა, თითო ოთხ-კუთხი საჟენი 8 მანეთად დააფასა. ეს მიწა რკინის გზის მმართველობამ უნდა შეისყიდოს ტფილისის სადგურის გასაფართოებლად. კომისიის მიერ დადებულის ფასით თავ. ამათუნს ერგება 65 ათას მანეთამდის.

⁂ როგორც შევიტყეთ, ქიზიყის დეპოს ამ წელიწადს 25,000 მან. ფული დაუბრუნებია აღებ-მიცემობაში და 2,000 მან. წმინდა მოგება დაჰრჩება. მიზეზი იმისა, რომ წრეულს ნაკლები ვაჭრობა და მოგება აქვს დეპოს, ის არის, რომ ეს რამდენიმე წელიწადია კახეთისა და ქიზიყის მცხოვლებლებს მოსავალი რიგიანი არ მოსდით და დაღარიბდნენ.

⁂ ქ. ბათუმში მცხოვრებ სათადარიგო ჯარის კაცთ, რიცხვით 60-დე, ამხანაგობა შეუდგენიათ და მთავრობის წინაშე თურმე შუამდგომლობენ, რომ ხაზინამ ბათუმის ოლქში მიწები მოუჭრას სოფლის მეურნეობის მოსაწყობად. ამხანაგობის წევრნი ყველანი რუსები არიანო, სწერს გაზ. „ს.პეტერბურგსკია ვედომოსტი“.

⁂ როგორც გაზ. „ნოვოე ვრემია“-ს სწერენ, ცნობილი მხატვარი ვ. ვ. ვერეშჩაგინი ამ ჟამად კავკასიაში თურმეა რომელსაღაც მთებში' დროებით სახელოსნო აუშენებია და სურათებს ამზადებს კავკასიის ომების ისტორიიდგან.

⁂ ს. თიანეთი. 19 ივლისს, დილის $8^1/_2$ საათზედ, აქ მობრძანდა სოფ. საყარაულოდამ ბ-ნი გზათა მინისტრი თ. ხილკოვი. სოფ. საყარაულოში ბ-ნი მინისტრი 18 ამ თვეს, საღამოთი, მობრძანდა, ღამე თ. ნ. ჭავჭავაძესთან გაატარა და ანანურისაკენ მიმავალმა თიანეთში შემოიარა. აქ კნ. ბარათაშვილთან ისაუზმა და 10 საათზედ ცხენით ანანურისკენ წაბრძანდა. გზად ბ-ნმა მინისტრმა დაათვალიერა თიანეთ-ანანაურის უკვე დაწყებული გზა-ტკეცილი. ანანურიდგან პირდაპირ კავკავში წაბრძანდა. თიანეთის საზოგადოების მამასახლისი და ამორჩეულნი კაცნი პურ-მარილით მიესალმნენ ბ-ნს მინისტრს და თხოვნა მიართვეს. საზოგადოებამ სთხოვა მინისტრს მომავალი კახეთის გზა თიანეთზე იქმნას გაყვანილიო. ბ-მა მინისტრმა ყურადღებით მოისმინა მათი თხოვნა და შემწეობა და დახმარება აღუთქვა.

ბ-ნს მინისტრს თან ახლდნენ ტფილისის ვიცე-გუბერნატორი ბ. სტეფანოვიჩი, ტფილისის გუბერნიის ინჟენერი ბუტკევიჩი, ერთი რკინის გზის ინჟენერი და თ. ა. და დ. ნ—ძენი ჭავჭავაძენი. ბ-ნ მინისტრს თიანეთის მაზრის საზღვარზე მაზრის უფროსი მიეგება და მეორე დღეს ანანურამდე გააცილა. ვიცე-გუბერნატორი ბ-ნი სტეფანოვიჩი თიანეთშივე გამოეთხოვა ბ-ნ მინისტრს დ ტფილისს დაბრუნდა.

⁂ იქიდგანვე. ეს მესამე დღეა, რაც აქ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელე დანილოვიჩი მოვიდა, რომელიც სხვა და - სხვა სტატისტიკურ ცნობებსა ჰკრებს. ეს ცნობები მომავალის კახეთის რკინის გზის მიმართულებისათვის დაუნახავს საჭიროდ კავკასიის რკინის გზის მმართველობას.

## ფელეტონი

### ზაფხულის ღამე.

ბუნება მიდუმდა... მიყუჩდა... მზის ცხარე სხივთაგან ამოხრუკულმა მიწამ ძლივს მოისვენა. ახლა გრილმა ნიავმა დაჰქროლა და შეუგრილა სიცხისაგან დამსკდარ-დაიარავებული მკერდი. ველ-მინდორიც შეთრთოლდა ნიავის ცელქურ გათამაშებით. ჭალა-ტყეებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს. ხეები, აქამდის უძრავად შეჩერებულნი, შეერქოლდნენ სიამოვნებისაგან და კენწეროების რხევით მიესალმნენ ერთმანეთსა. ფოთლების ჩუმი შრიალი, ნიავის სისინი, ყვავილ-ბალახების თრთოლვა, — ეს სულ შეერთებული ერთად სოიცნებო, ტკბილ ნანად ჰჟღერდა, რომლისათვისაც ალაგი დაეთმოთ ფრინველთაც, ნადირთაც... ყველანი მიჩუმებულიყვნენ... მხოლოდ ხან-დახან თუ გაისმოდა ფრთების გატყლაშუნება შუაგულ ტყიდგან რომელისამე ღამის ფრინველისა... ან მიკიოტი თუ ამოიკვნესებდა... საზარელია მისი კვნესა, მერე იმ დროს, როცა ბუნება ნანასა ჰღუღუნებს... საზარელია ისე, როგორც დისონანსი მშვენივრად შეწყობილს და ტკბილს ხმაზედ მომღერალ ორკესტრში და ისიც იმ დროს, როდესაც ამ ორკესტრის ტკბილ ჰანგებმა საოცნებო სფერაში გაგანავარდათ... საზარელია, საზარელი!.. მის გაგონებაზედ კაცი რაღაც გამოურკვეველს საიდუმლო შიშსა ჰგრძნობს...

ბუნებაც თითქო ნანასა სწყვეტს, ყუჩდება, ხეებიც თითქო შიშისაგან ერთმანეთში ახლართავენ შტოებსა... ცაც თითქო უფრო შავდება და მოსრიალე ცელქი ნიავიც, როგორც წიწილა ძერის კლანჭებში, ერთბაშად ჩერდება, იკუმშება და იჩქმალება ყვავილ-ბალახების ფრთესა ქვეშ. მიკიოტმა ამოიკვნესა, ბუნება კაცის გულთან ერთად შეთრთოლდა, მაგრამ ეს ამონაკვნესი კიდევ დიდხანსა რჩება კაცის გულში, ყურებში უწივის, ერთის მდელოდგან მეორეზედ გადადის, ერთის ხევიდგან მეორეზედ და ყრუდ გაისმის შორს, შორს... შორს...

აგერ ალაზანიც... ჩუმის ნაბიჯით, წყნარად მიციმციმებს, მიაქანებს პატარ-პატარა ტალღებს... რაღას დუდუნებს? ვის ემდურის? იქნება ბედსა? იქნება ბუნების უკმაყოფილოა, რომ მან ორს კლდის შუა შასჭედა იგი, ვიწრო კალაპოტი მისცა და ძალა არ შესწევს ეს კალაპოტი გაანგრიოს და საუკუნოებით ტანჯვავარამით აღვსილი ფიალა არე-მარეს გადაანთხიოს?

— სსსს... გაისისინა ნიავმა, გადმოეშო ხეების კენწეროებიდგან, ზედ გულზედ გაუსრიალა ალაზანსა, ააგორა პატარ-პატარა ტალღები და სიცილით, სისინით კვლავ გაჰკოცნა ამწვანებული კორდ-მინდორ-ტყე-ჭალები. ალაზანი შეფორქიალდა და, თითქოს ნაწყენიაო ნიავის სიკადნიერით, უფრო ხმა-მაღლა წაიდუდუნა უფრო ხმა-მაღლა აღმოსკდა მისი გულიდგან სამდურავი...

რა სასიამოვნოა საზოგადოდ ბუტბუტი, დუდუნი, მაგრამ ალაზნის ჩუმი დუდუნი რაღაცას აგონებს კაცს, აფიქრიანებს... ეს ჩუმი დუდუნი აგონებს კაცს ცხოვრების ერთს მხარეს, რომელიც თითქო წააგავს კიდეც ალაზნის მჭიდროდ შემოფარგლულ კალაპოტს. კიდეც ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ შენც სჩერდები და თანაგრძნობით ისმენ ალაზნის უსიტყვო სამდურავს, შენც გული გისევდიანდება და მის კვნესას შენს ხმასაც უერთებ!..

სასიამოვნოა, სასიამოვნო ალაზანი, მისი ციმციმი, მისი დუდუნი ისე, როოგორც სასიამოვნოა ტანჯვა-უბედურებაში გულ-წრფელი თანაგრძნობა მეგობრისა!..

შეხე, ცის კამარაში ერთი ვარსკვლავი შეკრთა და კოხტად ამოტრიალდა ალაზნის კამკამ ზვირთებში... წყალი შეთრთოლდა, ვარსკვლავმა გაიღიმა, შეციმციმდა... აგერ მეორეც, მესამე, მეოთხე... მეოცე... თითქო ყველა ვარსკვლავს პირობა შეუკრავთ ალაზნის მორევში პირის მოლამაზებისა... ალაზანს თითქო იმედის სხივი ჩაესახა აქამდის ჩათხრობილს გულში... იგი გაჯავრებით შეეხეთქა მუხის ფესვებით გამაგრებულს ბუჩქებს, მაგრამ ისევ უკუ იქცა, ტალღა-ტალღას მოჰხვდა, შეტრიალდ-შემობზრიალდა, სიბრაზის ქაფი მუხებს შეანთხია და მწარე დუდუნით კვლავ ძველ გზისაკენ გაიზლაზნა.

ხუ! აგერ შორიდგან მოისმა კაცის ღიღინი... ღიღინებს ვიღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად... დინჯად... ნელის ხმით, გულ-ჩათხრობილი... გული უფრო გისევდიანდება: ისიც ხომ თანაგრძნობაა... ეს ღიღინიც ხომ ალაზნის დუდუნს წააგავს... ორივე ხომ ერთნაირ იარით დაკოდილ გულიდგან არის ამოკვნესილი! ეს ღიღინი არ არის ხელოვნური... იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტია, მაგრამ გულ-წრფელი... ამ ღიღინში გამოიხატება კვნესა, დარდი, ვარამი, უიმედობა...

„საწყალსა კაცსა ვინ მისცემს
აღდგომის ღამეს ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სვას,
დაწყვეს და დაიძინოსა“.

გაისმა მკაფიოდ და შორიდგან გამოსჩნდა შუა ტანის, წელში მოხრილი, თავ-ჩაქინდრული, იღლიაში სახრით გლეხ-კაცი... კიდევ პატარა ხანს იღიღინა, იკვნესა და შემდეგ გაჩუმებული ჩაჯდა იქვე გზის ნაპირას შესასვენებლად. უბეში ხელი ჩაიყო და რაღაცას ძებნა დაუწყო. ალბად რასაც ეძებდა, იქ დახვდა, რომ უბიდგან ხელის ამოღებისათანავე მკლავი თავ-ქვეშ ამოიდო და მიწვა.

მიხა, ასე უწოდდნენ მგზავრს, სოფ. ყ—ს მცხოვრებია. არ იქნება ორმოცის წლისა, მაგრამ თმა კარგად გასჭაღარავებია, წინა ორი კბილიც ჩამოვარდნია, წვერ-ულვაშიც-კი თითქმის გასცვივნია და აქა-იქ ძლივსღა უფარავს პანტის ჩირსავით დანაოჭებულს პირისახეს... თვალებში სევდისა და გაჭირვების მეტი არა ეხატება-რა... ან რასაკვირველია!.. ხუთი შვილი და მარტო ხელი კაცი. სახლსაც, ცოლ-შვილსაც, მტერსაც და მოკეთესაც ის უნდა გასძღოლოდა. აკი უძლვებოდა, მაგრამ ცალკე მოუსავლობამ, ცალკე მოხუცის დედის სიკვდილმა, ქელეხებმა და წირვებმა, ცოლის და შვილების ავადმყოფობამ წელი მოსწყვიტა მიხას. თავისი დიდი ფიცრის ქოხი გაანახევრა. რაც კარგი ფიცრები იყო, დაჰყიდა და ქოხი დაიპატარავა, ცალი ხარიც გაჰყიდა, მაგრამ მიხა მაინც წელში ვერ გასწორდა. მოუსავლიან წელიწადს მეორე უარესი მოჰყვა და მიხა სიღატაკეში ჩავარდა. აღარ იცოდა რა ექნა, საით წასულიყო, ვისთვის მიემართნა!.. ჰმ! მიემართნა, თით

*** იქიდგანვე. როგორც შევიტყეთ, ბ-ნს მინისტრს უბრძანებ-ია, რომ თიანეთ-ტფილისის გზა-ტკეცილი კავკასიის სახელმწიფო გზათა უწყებას გარდაეცეს და, რაც შეიძლება, მალე შეკეთდეს. თუ ეს მართალი გამოდგა, სწორედ რომ დიდი სიკეთე მოუვა თიანეთის მაზრას. ერთი რომ რიგიანი გზა ექმნება და ტფილისში მისვლა-მოსვლა სატანჯველი აღარ იქნება და მეორე, დაუსრულებელი ბეგარა ამ გზის შესაკეთებლად თავიდგან ასცილდება გლეხობას.

*** ბ-ნ ზ. ჭიჭინაძეს შეუდგენია აღწერა „მეთვრამეტე საუკუნე“-სა. წიგნში მოთავსებულია ქართველ მწიგნობართა ცხოვრება და იმათის წიგნების შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები. ხელთ-ნაწერი საკმარისად გრცელია და შიგ აღწერილია: ვახტანგ მეფე, საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი, ბაქარ ბატონიშვილი, პაპუნა ორბელიანი, დიმიტრი ტლაშაძე, სეხნია ჩხეიძე, მიხეილ ელგიძე, ერასტი თურქისტანიშვილი, გაბრიელ გელოვანი, სიმონ მაკოცარიძე, გიორგი იერომონასი, ზურაბ შანშოვანი, ლეონ ბატონიშვილი, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ბესარიონ კათალიკოზი, დომენტი კათალიკოზი, იობ მწიგნობარი, იონე მროველი, სარიდან ჩოლოყაშვილი, დავით ორბელიანი, პეტრე ნაქაძე, ონოფრე ბოდბელი, იოსტოს ბერი, რევაზ ყორჩიბაშიშვილი, პორფირე არქიმანდრიტი, ტრიფილე არქიმანდრიტი, მელქისედეკ ხუცესი, დავით მღვდელი, კოსმა მწიგნობარი, ისაკ მწიგნობარი, თომა გარსევანიშვილი, გერონტი ბებურიშვილი, გაბრიელ მონაზონი, ნიკოლოზ რუსთაველი, ივანე რუსთაველი, ნიკოლოზ ბიჭიაშვილი, ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი, პეტრე ყაითმაზაშვილი, ნიკოლოზ ლარაძე, ანტონ ჭყონდიდელი, იონე ხუცეს მონაზონი, დიმიტრი ამილახვარი, ქაიხოსრო მდივან ბეგი, დიმიტრი მღასხვარი, იონე ოსეშვილი, ტიმოთე მთავარ ეპისკოპოზი, ამბროსი ნეკრესელი, იერონიმე ალექსიძე, სოლომონ ჭილექსოვი, იონე ჩოლაძე, სოლომონ თარხნიშვილი, იოსებ ტერ შმანოვი, დოსითეოს ნეკრესელი, იონა რუისის მიტროპოლიტი, იონე ქართველოვი, გაიოს ნაცვლიშვილი, ვარლამ არხიეპისკოპოზი, ზაქარია გაბაშვილი, დავით რექტორი, მიხეილ გულდულაშვილი, დაჟიკა ბატონიშვილი, ზაალ ბარათაშვილი, მარიამ დედოფალი, ქეთევან ბატონიშვილი, თეკლე ბატონიშვილი, ზაალ ანდრონიკაშვილი, სტეფანე ფერშანგი, ისაია ჯანჯღავაზოვი, მარზაჯანა მადათოვი, ოსეფა ბებუთოვი, დარჩია ბებუთაშვილი, წყალობა ბებუთოვი, ეგნატე თუმანიშვილი, გიორგი თუმანიშვილი, დავით თუმანიშვილი, დიმიტრი თუმანიშვილი, ოთარ ქობულოვი, იოსებ თუმანიშვილი, გიორგი ავალიშვილი, ნიკოლოზ დადიანი, ომან ხერხეულიძე, ეგნატე იოსელიანი, გაბრიელ რატიშვილი, იოსებ ლარაძე, დიმიტრი ბაგრატოვანი, დავით ჩოლოყაშვილი, იოსებ ამირაძე, ნიკოლოზ ონიკოვი, ბაგრატ ბატონიშვილი, ვახტანგ ბატონიშვილი, რაფიელ დანიბეგოვი, გოდერძი ფირალოვი, თეიმურაზ ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი, გაბრიელ მაიორი, მეფე ერეკლე, დავით გურამიშვილი, მელქისე ჯავახიშვილი, ანტონ კათალიკოზი, სოლომონ ლეონიძე, დიმიტრი ციციშვილი, პეტრე ლარაძე, იონე ბატონიშვილი, შიო მღვიმელი, პეტრე ივანე, საბა ნინოწმინდელი, პეტრე დავითის,თეიმურაზ მეორე, დავით ავალიშვილი, სოლომონ ლეონიძე, იონე ორბელიანი, ალექსანდრე ბატონიშვილი და ნიკოლოზ ტფილელი. აღწერა ამ ზამთარს დაიბეჭდება ცალკე წიგნად.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ატენი,** (გორის მაზრა). მდინარე ტანის აყოლებას უძახიან ატენის ხეობას. ამ ხეობას ამკობს მშვენიერი ტყეები ზ. ერისთავისა, თ. ა. ორბელიანისა და თ. ციციშვილისა, კლდეებზე მოჩხრიალე წყალი ტანა, ატენის გაყოლებაზე გენახე, უძველესი ტაძარი სიონი, ძველი ციხე-კოშკები და ბოლოს ა. ე. ზუბემანის კიწრო რკინის ლიანდაგი, რომლებზედაც არბიან და ჩარბიან ოწინარები („პარავოზები“) და ეზიდებიან ხე-ტყეს. ბუნებით შემკულ ხეობაში ხალხიც შემკულა ჭკვიანურ-ფერონებით, ხოლო სწავლა განათლებით კი უკუღმა დაბრუნებულა. მთელ სოფელ ატენში ძლივს მოიპოვება ხუთი კაცი, რომ ხელის მოწერა იცოდეს, დანარჩენები-კი უცოდინარები არიან. არც დედაკაცები არიან მცოდნენი, როგორც ესაა გავრცელებული ქართლის სხვა სოფლებში შინაურ ოსტატების საშუალებით. გულ-შემატკივართ რამდენჯერმე აღუძრავთ ლაპარაკი სოფლელთათვის სკოლის შესახებ და სოფელს კი ყრილობაზედ: „არ გვინდა სკოლა, არ გვინდაო!“ — უთხნია. სოფელში საქმის გაკეთება რომ უნდოდეთ და გარდაწყვიტონ ყრილობაზედ, მისი ქაღალზედ მოქცევა ძალიან ძნელია. არავინაა ჭკვათ დამწერი და ხელის მომწერი. ამიტომაა, რომ საქმე ერთნაირად გ რდაწყვეტილი, მეორე კვირას სხვანაირადაა სწყდება, მეორე კვირას გარდაწყვეტილი მესამე კვირაზედ იცვლება და ასე, ამრიგად თითო საქმე თითო წლობით სწვალობს და ჭყლუმანობს ხალხის ხელში. ნეტა როდის დაუდგებათ ატენელებს ის დრო, როცა ისინი სკოლას მოისურვებენ! კაცს გულს უკლავს ის გარემოება, რომ ზუზემანებთან ცოტაოდნად მცოდნე კაცები, უცხო ადაგით მოსულნი, სულ სხვა სარწმუნოებისანი, მოდიან, ფულსა ჭმოულობენ და ატენლები, აქვე მცხოვრებნი, თუმცა მათ გამჭრიახობით აღემატებიან, წერა-კითხვის უცოდინარობისა გამო მცირე სამუშაოს ამარა რჩებიან.

15 ივლისს, შუაინდებისას, ცეცხლი მოეკიდა ზუზემანის სახერხ ქარხანას ატენში. ხალხი ყოველ უბნებიდგან მოაწყდა ანაზდად. როცა ნახეს, რა ძალიან ედებოდა ცეცხლი ირგვლივ ყველაფერს, ი იშველეს ჩოხები და ეტაკნენ ცეცხლს: ზოგმა ცეცხლის ირგვლივ დაწყობილ მასალას დაუწყო განზედ ზიდვა, ზოგმა წყალი მიუმარჯვა ვედრებითა და ჩაბებითა ცეცხლს, ზოგმა წყლის სასხმელი მანქანა მიუდგრა, ზოგმა ბარგი გაზიდა კანტორიდგან და მეკანტორეს ოთხიდგან, ზოგმაც ოწინარები გაასცურა ზევით ლიანდაგზედ, ერთის სიტყვით, ყველა შეეჭიდა საქმეს გულმხურვალედ, ყველა მამაცობდა, ყველა ვაჟკაცობდა. ზედვე დასტრიალებდა მწარე სახით ზუზემანი და შემკრთალის ხმით ხალხს ასწავლიდა ასე გასტანა შუაღამის 3 საათამდე და ცეცხლიც ჩაქრა. იმეაითის სიმხნევით ებრძოდნენ ცეცხლსა; თუმცა ბევრი აღგზნებული ცეცხლის ქრობა მინახავს, მაგრამ, როგორც ატენელებმა ანაზდად ჩააქრეს ზ ზუმანის ქარხანაში ცეცხლი, ეს საოცრებად დამრჩა. ხალხს ძალიან ჭმეელოდა და ამხნევებდა ორბელიანის მოურავი გ. ბესიაშვილი, რომელსაც ხალხი ძალიანა ჭკვას მიჩვეული საქმის საერთგულეში. ცეცხლი ეკიდა ფიცრისა და ნამჯის მასალას, ნახერხს, ფიცრებს და შპალებს. პირველად ცეცხლი გაჩნდა მაზუთის ქვაბიდგან, რომელიც ამუშავებდა ორთქლით ცალ ხერხსა და სადურგლო სახელოსნოს, აგრეთვე საზეინკლოსაც. მაზუთის მილი დაუგეტავი დარჩენოდათ, მაზუთი გამოსხმულიყო, მოსდებოდა ცეცხლი და მთლად ქარხანა აპრიალებულიყო. კარგია, რომ დიდი ქარხანა ცოტა მოშორებით იყო, თორემ, შენი მტერი, ზუზემანი ცარიელზედ დამრჩებოდა. ზარალი მაინც 10,000 მ.ნათამდე არის. როცა მეკანტორემ ბარგი გამოალაგა გარეთ, აღმოჩნდა, რომ ბევრი ავეჯთაგანი ბაროტ ხელსაც თავისკენ ეზიდნა, დღესაც არ იციან, თუ ვინ იყო ამის მომქმედი. უეჭველია, თუ პოლიცია ცქვატად მოიქცეოდა, არაფერი არ დაიკარგებოდა.

როცა ქარხანას ცეცხლი ეკიდა, დედაკაცებმა დაიძახეს, შიგ კაცები დაიწვნენო და ერთ დედაკაცს ნიშანდობლივ უთხრეს,— შენი შვილიცაო. საწყალ დედაკაცს ხმა ჩაუვარდა, წამოიყვანეს შინისკენ, და, როცა სახლს მიატანეს, გული წაუვიდა. შემდეგ რის წვალებით მოაბრუნეს. დედაკაცების ვიში-ვიშს საზღვარი არა ჰქონდა. როცა ცეცხლი ჩააქრეს, თავის-თავად ჩაქრა ყველა ცრუ მითქმა-მოთქმაც და მოება ზედ ხარხარი დამშვიდებულის ხალხისა.

ნინია თუბალაური

# რუსეთი

—

განზრახვა აქვთ ქალაქს ვარშავას მდინარე ვისლის მხარის ყველა საგუბერნიო ქალაქი ტელეფონით შეუერთონ.

— პეტერბურგის ექიმებს განზრახვა თურმე აქვთ შუამდგომლობა დაიწყონ, რომ პეტერბურგში რუსეთის ფსიხიატრთა მეორე კრება იქმნას მოწვეული. ხსენებულს კრებას აზრად აქვს ჭკუიდგან შეშლილთა მეთვალყურეობის შესახებ სჯა იქონიოს და მათი მდგომარეობა გააუმჯობესოს. პირველი ასეთი კრება მოსკოვში მოხდა კარგა ხნის წინად და შესანიშნავი ნაყოფიც მოიტანა.

— ექიმთა საერთაშორისო მე-XII კრებაზედ, რომელიც მოსკოვში მოხდება, ერთი ფრიად საყურადღებო საგანი თურმე იქმნება, სხვათა შორის, აღძრული: როგორ და რა საშუალებით შეიძლება მოისპოს დღეს რუსეთის ყველა დიდ ქალაქში გავრცელებული ფალსიფიკაცია საჭმელ-

---

მისთვის შესტკიოდა ვისმე გული! მაგრამ ღმერთმა უშველოს ისევ მღვდელსა, საკომლო პური არ გამოართვა.

— ოხმე, იძახოდა მიხა მალ-მალ და ამით ღა ისუბუქებდა თავისს გატანჯულს ცხოვრებას.

მოაგონდა უკანასკნელად ბატონისაგან ცემა!

— რა დავუშავე, თქვენი ჭირიმეთ?! წამოიძახა მეტის სიმწარისაგან მიხამ, წამოჯდა და სასოწარკვეთით ხელები გაასავსავა

— „ხარი მიშველიეო“, ჩამომეკიდა ის ჩემი ცოდვით სავსე,..

— საიდგან ვუშველიებდი, რომ გაზაფხულზედვე გავყიდე!

— სად არის სამართალი! პურ მარილიც-კი დაივიწყა, ი ჩემი ცოდვით სავსემ... როცა მქონდა და რაცა მქონდა, აკი არ უჰერდი. მაგრამ რა! პურ-მარილი მაგას კალთაში უყრია, გადიბერტყა და დაივიწყა. არა, სხვას საქონელი სამ-სამ, ოთხ ოთხ უღელა ჰყავს და მე ერთის ხარის პატრონს გადამეკიდა: „თუ გაჰყიდე, მიქირავეო!“ საიდგან? რომელი მდიდარი მე მნახა! კინაღამ თავ-პირი დამამტრია! ესეა, ესე... გლეხი-კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი! უნდა სილატაკეში, სიღარიბეში დაიბადოს, სისაწყლეშივე მოკვდეს! რა არის ჩვენი ცხოვრება!

ასე ებაასებოდა გულში თავისთავს მიხა და თვალები უფრო უნაღვლიანდებოდა, სევდა უორკეცდებოდა...

— ჰე, ყველა ღვთის ნებაა!.. მიხამ ერთი კიდევ ამოიოხრა და თავჩაქანდრული დააშტერდა ერთს ადგილს. ვინ იცის კაცის გული! ვინ აღწერავს დაწვრილებით, თუ რა ფიქრები უტრიალებდა მიხას თავში, მხოლოდ ეს-კი არის, რომ უმთავრესი ძაფი ამ ფიქრებისა გაჭირვება იყო. წვალება და წელის წყვეტა ლუკმა-პურისათვის. გავიდა რამდენიმე წუთი და მიხა იქვე უძრავად, გამოქანდაკებულსავით ჩასციებოდა ერთს ადგილს... უცბად შეთრთოლდა და შიშით აქეთ-იქით მიავლ-მოავლო თვალები... თანდათან მოუთმენლობა დაეტყო... მთრთოლვარე ხელს მალ-მალ უბისაკენ წაიღებდა, მაგრამ ამოიოხრებდა, ხელებს გაასავსავებდა, თავს მოიფხანდა და კვლავ გაშტერდებოდა უძრავად... თანაც უაზროდ ჰბუტბუტებდა... სუნთქვას უმატებდა... კარგა ხანს იყო ამ შფოთვაში, ამ ბრძოლაში.

აი უბეში ჩაიყო ხელი... ამოიღო ქაღალდში გახვეული რაღაცა და თვალებთან მიიტანა... თანაც ხელში სჭმუჭნიდა... როგორი ჭაჭა-ჭუჭი გააქვთ, ახლებია უთუოდ. მიხას გულის ცემამ მოუმატა...

ხუთი თუმანი—ხუმრობა ხომ არ არის, ხუთი თუმანი, ხუთი თუმანი!..

მიხამ მუჭაში მოჰმუჭნა ფულები და კვლავ შიშით შემოავლო გარს თვალი... მაგრამ არე-მარე მას არაფერს არ ეუბნებოდა. ბუნება მიჩუმებულიყო, გაშტერებულიყო; ხეებს წინ წაეხარათ თავი, თითქოს ელიან ვისმეო. მიხაც გაშტერებული დასცქეროდა ქაღალდში შეხვეულს ფულს. მხოლოდ უბრალო ჩუჩუნი, ხის კენწეროს რხევა გულს უჩქროლებდა, თმას ყალხზედ უყენებდა.

— ხუთი თუმანია... რა ბედნიერი იქნებოდა მიხა, რომ ეს ფული მისი ყოფილიყო; რამდენად წინ წასწევდა ცხოვრებაში ეს ხუთი წითელი ქაღალდი! ამ ხუთის თუმნით საკმაო პურსაც იყიდდა, ცოლ-შვილსაც შეჰმოსავდა და სხვასთანაც პირ-ნათლად გამოვიდოდა: მღვდელსაც თავისას მისცემდა და ბატონსაც. მიხა მაინც თვალს არ არიდებდა ფულებს. . ათას-ნაირი აზრი უტრიალებდა თავში... მითომ პურიც იყიდა, ცოლ-შვილიც ტანისამოსით შემოსა, თითონაც ერთი შოლტი საქალამნე იყიდა... მის ბავშვებს უხარიანთ... ხტიან... „ზიზიები“ აცვიათ... თავისი უმცროსი ვაჟი გიო კალთაში უზის და ეალერსება... გიოც ეხვევა, ჰკოცნის და ტიტინებს... ხან და ხან გიო „თათებს“ მიხას თხელ წვერებისაკენ გააპარებს ხოლმე და როცა ჩაავლებს, ფეხებს გაიქნევს და გულიანად გაიკისკისებს... მიხაც უცინის, ხელებს უჭერს, ვითომ ტირის კიდეცა, რაც უფრო ახარებს გიოს, და თან მაგრად ჰკოცნის თურაშაულსავით წამოწითლებულს ლოყებზედ. გიო ჰყვირის და თან დედას ეძახის წმუკუნით: „დედა, აი მატოცა“! დედაც ამშვიდებს: „მამაა, შვილო მამა! ნუ იტირებ, გენაცვალე, ნუ...

მიხა ალერსით შესცქერის ახლა თავის მარიკოს, რომელსაც დაუმკლავებია და ცომსა ჰზელავს... ეზოდგან ჟრიამული ისმის... ბავშვები თონესთან ფიჩხს ეზიდებიან და თან ერთმანეთს ეჯიბრებიან, აცა ვინ უფრო ბევრს მიიტანსო... ბედნიერია... სიამოვნებისაგან ტანი უდუნდება, სახე უბრწყინდება, დასევდიანებულს თვალებში სიხარულის ნაპერწკალი თან-და-თან უღვივდება... ხელებიც მოუდუნდა... სიამოვნებისაგან თვალები მიელულა... ცხადლივ ტანჯულმა სიზმრებში ჰპოვა ბედნიერება!..

აგერ მთვარეც ამოგორდა... თითქო არე-მარეს დათვალიერება უნდაო, იგი შეყირავდა მწვერვალის თეთრს ქედზედ, მოელვარე თოვლის სისპეტაკეში სხივები ამოავლო და საოცნებო გვირგვინად გადმოეფინა მთელს ბუნებას...

პირველი სხივი ალაზნის გულს მოჰხვდა... წყალი შეთრთოლდა და სიამოვნებით ჩაიხვია თავის მოკაშკაშე ზვირთებში უმანკო სხივი... ვერცხლისავით მოლაპლაპე თევზებმა გამოიღვიძეს, მორევებიდგან ზევით ამოსრიალდნენ და დაიწყეს ჰაერში კამარის კეთება... ალაზანი გაცოცხლდა. დუდუნი და უსიტყვო კვნესა თევზებისაგან წყლის ჩქეფამ შთანთქა... ნიავიც გამხიარულდა... გაისისინა, ცელქად გაჰკრა-გამოჰკრა ყვავილ-ბალახებს, შეენარცხა ამწვანებულს ტყეებს, შეათრთოლა, თითონაც შეთრთოლდა, ალაზნის ზვირთებში თავი მოილამაზა და კვლავ გაცქრიალ-გამოცქრიალდა...

მოკაშკაშე, მომღიმარი მთვარე მთის მწვერვალიდგან გამოსრიალდა და შეაჩერდა ღიმილით, სიყვარულით ბუნებრივ სარკეს, რომელსაც ჩარჩოსავით გარს შემორტყმოდა ასწლოვანი მუხები... ჩაიხედა მოკაშკაშე, მოციმციმე ალაზნის გულში და პირი მოილამაზა... ალაზანიც მოჰყვა თავისს ამბავს, ხეტიალს, დარდსა, ცრემლებს: ბედს ემდუროდა, რომ ორ კლდის შუა იყო ჩაჭედილი... ჩურჩულებდა დუდუნებდა: „მინდა გავიშალო, მინდა სინათლე, სხივები თავისუფლებაო“... მთვარეც ეარშიყებოდა, სხივებით ჰკოცნიდა... მაგრამ მუხები გაჯავრებით შეთრთოლდნენ, ბრაზ მორეულად დაიწყეს კენწეროების რხევა და ამოეფარნენ მთვარეს... შეყვარებული მთვარე ხის ტოტებიდგან-ღა ეთამაშებოდა ალ-

სასმელისა. ამის შესახებ რამდენსამე მოხსენებას წაიკითხავენ, აღნიშნავენ-თუ დღეს რა და რა საშუალებასს ხმარობენ საჭმელ-სასმელის ხელოვნურად შესაზავებლად და ამავე დრო-დაასახელებენ ყველა იმ საშუალებას, რომლითაც ამ ბოროტებას ბოლო მოეღება. სხვათა შორის, ყველაზედ მეტი ყურადღება ძროხი ერბოს ფალსიფიკაციასა აქვს მიპყრობილი. ამ მხრივ სხვებზედ უფრო საყურადღებო იქნება ბერლინელის სწავლულის დოქტ. ბეინის მოხსენება იმის შესახებ, თუ უდიდესს ქალაქებში რა გვარი კანტროლი უნდა იქმნას შემოღებული საჭმელ-სასმელით ვაჭრობაში.

— ყველაზედ უდიდეს საზლვაო წიგნთ-საცავად კრონშტადტის წიგნთ-საცავი ითვლება. ამ წიგნთ-საცავს 50 ათასი თხზულება აქვს 83 ათას ტომად. წლიური ხარჯთ-აღრიცხვა ხსენებულის წიგნთ-საცავისა 10 ათასს მანეთამდე ადის.

— ს.-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში თხოვნების მიღება უკვე დაიწყო. თხოვნების მიღება მხოლოდ აგვისტოს 15-მდე შეიძლება.

— ს.პეტერბურგის მევე ლოსიპედეთა საზოგადოებას განზრახვა აქვს მომავალის წლიდგან ველოსიპედით მოსიარულეთათვის თავისი საკუთარი გზები გაიყვანოს პეტერბურგის ყველა ქუჩაში. ხსენებულის გზების გასაყვანად საჭირო ფული იმ თანხიდგან იქმნება გადადებული, რომელიც მეველოსიპედეთა წლიურ 3 მანათიან გარდასახადისაგან შესდგება.

— ამ წელს პაჟების კორპუსში სწავლა 1-ლ სექტემბერს დაიწყება. ამისათვის მოსწავლენი 31 აგვისტოს უკვე სასწავლებელში უნდა იყვნენ. მისაღები ეგზამენები 26—27 აგვისტოსათვის არის დანიშნული.

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** გაზ. „კუარტერლი რევიევ“-ში დიდი წერილია დაბეჭდილი ოსმალეთის გაყოფის შესახებ. ამ გაზეთის სიტყვით, ოსმალეთი არაოდეს არ დაწყნარდება და მუდამ ევროპის მშვიდობიანობის დამრღვევეელი იქმნება. ერთად-ერთი საშუალება, ამბობს გაზეთი, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი ხდება აღმოსავლეთის საქმის გათავება და ამით ევროპის დამშვიდებაც, ეს ოსმალეთის განაწილებაა სახელმწიფოთა შორის. ავტორი არ თანაუგრძნობს ოსმალეთის ქვეშევრდომ სხვა-და-სხვა ერთა განთავისუფლებას და იმათგან ბოლგარიის და საბერძნეთის მაგვარის ცალკე სახელმწიფოების დაარსებას. იმის აზრით, ეს პატარა სხელმწიფოები არასოდეს არ დაწყნარდებიან და ევროპას მუდამ თავში საცემს გაუჩენენ. ამიტომ, უმჯობესია მათი ბედი ევროპის სახელმწიფოთ ჩაიგდონ ხელთ და იმათ განაგონ ყოველივე საქმე. ამას თვით ოსმალეთის ქვეშევრდომნიც არიან მოწად ინებულნიო. ავსტრიამ, მაგალითად, იმდენად კარგად მოაწყო ბოსნიისა და გერცეგოვინის ყოფა-მდგომარეობა, ამბობს გაზეთი, რომ ალბანია და მაკედონია მხოლოდ იმის ფიქრსა და ზრუნვაში არიან, რაც შეიძლება მალე ავსტრიის ქვეშევრდომნი გახდნენ. წინად შეუძლებელი იყო ევროპის სახელმწიფოთა შორის ოსმალეთის განაწილება, რადგანაც ყველა მათგანი საუკეთესო ნაწილისაკენ იშვერდა ხელს და სხვას თითქმის არაფერს არ ანებებდა, ხოლო ამ ბოლო დროს საქმის მიმდინარეობა სულ სხვა გზას დაადგა და ამიტომ არამც თუ შესაძლებელი, საჭიროც არის ევროპის სახელმწიფოთ მალე გაანაწილონ ოსმალეთი და ამით ბოლო მოუღონ დაუსრულებელ შფოთსა და აჯანყებას ბალკანეთის კუნძულზედ და სრულიად ოსმალეთის სახელმწიფოში. რაც შეეხება იმას, თუ რომელმა სახელმწიფოებმა უნდა გაიყონ ოსმალეთი და რომელს რა ნაწილი ერგება, გაზეთი ამბობს, რომ ოსმალეთი სამის სახელმწფოს საკუთრებას შეადგენს: ავსტრიისა, ინგლისისა და რუსეთისასაო. ავსტრიას შეხვდება ალბანია და მაკედონია, ვიდრე სალონიკამდე, ხოლო ინგლისს — ეგვიპტე და სირიაო. ეს უკანასკნელი მით უფრო საჭიროა ინგლისისათვის, ამბობს გაზეთი, რომ იქიდგან იგი რკინის გზას გაიყვანს ინდოეთამდის და ევროპას დაუახლოვებს ამ მდიდარ ქვეყანას. მცირე აზიას და ეგ რედ წოდებულს სომხეთს გაზეთი უთმობს რუსეთს. საფრანგეთსა და გერმანიას გაზეთი ერთ ნაჭერს მიწასაც არ აძლევს... წერილის ბოლოს ავტორი ამბობს, რომ ამ აზრის განხორციელება და სისრულეში მოყვანა ინგლისის დედოფალ ვიქტორიას შეუძლიან და ამიტომ იმან უნდა იკისროს და ის გაუძღვეს ამ საქმესაო.

—

**კრიტი.** გაზ. „Köln. Zat“-ის კორესპონდენტი იწერება კანეიდგან, რომ კრიტის საქმეები მეტად აწეწილ-დაწეწილია და ხალხი ერთმანეთზედ სამტროდ გადაკიდებულიაო. „დადგა ივლისი, ამბობს კორესპონდენტი და კრიტის საქმეებს წარმატება არ დაეტყო. ადმირალებიდგან დაწყებული უკანასკნელ ხელოსნამდის ყველანი პოლიტიკურ კითხვების განსჯა-განხილვაშია. კრიტელების მიერ წყნარად და დალაგებით საქმის განხილვა ყოვლად შეუძლებელია, არავითარი თანხმობა და პირი მათ შორის არ არის. ამ დღეებში დიდიყრილობა მოხდება პლატანის მახლობლად და, ვინ იცის, რით დასრულდება იგი. პლატანისავე მახლობლად კრიტელებმა ავსტრიელებს და იტალიელებს დაეცნენ და რამდენიმე კაცი მოჰკლეს. ოსმალები დღითი-დღე უფრო მწვავდებიან. ევროპიელებზედ და საერთოდ ქრისტიანებზედ მეტად გაჯავრებულნი არიან. აქნამდის მაჰმადიანები ჩუმად უყურებდნენ თავიანთ მეზობელ ქრისტიანებს, რომლებიც იმათ სარჩო-საბადებელს საბერძნეთში გემებით ისტუმრებდნენ, ხოლო ეხლა მოთმინებიდგან გამოვიდნენ და ხელის გამოღებას აპირებენ. მაჰმადიანები ერთი ორად და სამად უფრო გააბრაზა ევროპის სახელმწიფოების ჯარის-კაცთა ურიგო საქციელმა. ეს უკანასკნელნი მეჩეთებში შედიან და შიგ თამაშობენ. თუ კრიტის საქმის დალაგებას მალე არ მიჰყვეს ხელი, საშინელი არეულობა მოხდება და შემდეგ უფრო გაძნელდება ამ კუნძულის დამშვიდება“.

## დამაკვირდი

რაც ჩვენის გონებისათვის მიუწვდენელია, მისი ცოდნა არც საჭიროა ჩვენთვის.

ქ-ნი დე-დეფანი

* * *

ახალს ჭურჭელს დიდხანს სდის იმისი სუნი, რასაც პირველში ჩაასხავენ.

ჰორაციო

* * *

ადვილად დაიჯერებს ხოლმე ადამიანი იმას, რაც მისთვის სასურველია.

ცეზარი

## ჟურნალ გაზეთებიდან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ წარსულს 29 თიბათვეს მამაცი ანდრე და მისი ორი თანამგზავრი: სტრინდბერგი და ფრენკელი ჰაეროსტატით ჩრდილო პოლიუსისაკენ გაფრინდნენ. აზრი ამ მოგზაურობისა მთელის კაცობრიობისათვის ერთნაირად სასარგებლოა, რადგანაც ანდრეს მოგზაურობა, როგორც ნანსენისა, ბევრს ახალს ცოდნას შესძენს კაცობრიობას და გაათვალისწინებინებს, თუ დედამიწის უკიდურესი ჩრდილო და სამხრეთ პოლიუსი რა ბუნებისაა.

მეტის-მეტად გაბედული და უმაგალითო რამ არის ამ მართლაც და სამის, თითით საჩვენებელის კაცის თავ-გ მოდება, მაგრამ რითი და როგორ დასრულდება ეს მოგზაურობა, ამას მხოლოდ მომავალი გვამცნობს, ანარა-და საიდუმლოებით მოცული დედამიწის ჩრდილო პოლიუსი ანდრესა და მისს თანამგზავრებს გულზედ მიისვენებს და ჩვენს სასიამოვნო მოლოდინს მათის ამბის შეტყობისას ამ რიგად ჩვენსავე მეხსიერებაში აეთხრება სამარე. ათასში ერთხელ-და მოიგონებს ვინმე ამ თავ-განწირულთა სახელებს და უიმედოდ გულის წუხილით გაჰფანტავს იმ საზარელს ფიქრს, რომ ანდრე და მისი თანამგზავრები არა ნაკლებ საზარელის ტანჯვით დაჰლევდნენ სულს სადმე შორს, ჩვენგან უცნობსა და დღემდის წარმოუდგენელს მხარეს. ამიტომაც დღეს მთელი განათლებული ქვეყანა გულის ფანცქალითა და მოუთმენლობით ელის ანდრეს შესახებ რაიმე ამბავს, ისმენს სხვა-და-სხვა მეცნიერისა და სწავლულის მოსაზრებას პოლიუსის შესახებ, შესახებ იმისა, თუ რა მანძილი უნდა გაჰვლოს ანდრემ, რამდენს ხანს გასძლებს მისი ჰაეროსტატი და სხ. ამ საგნის შესახებ სხვაზედ მეტად საყურადღებოა გამოჩენილის სწავლულისა და მეტეოროლოგოსის ეკჰოლმის აზრი, რომელიც ანდრეს თანამგზავრი იყო. ეკჰოლმს ერთის შვეციელ გაზეთის თანამშრომლისათვის აი, რა უთქვამს ამის შესახებ: „ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ანდრემ უკვე მიაღწია პოლიუსსაო“.—„მერეო?“ უკითხნია თანამშრომელს. „მერე რა დაემართებოდა, ეგ-კი ძნელი გამოსაცნობიაო“, უპასუხნია ეკჰოლმს. „შეიძლება რამდენიც-კი პოლიუსს მიუახლოვდა, ქარი შესუსტდა, მგზავრები მძიმედ-და იძროდნენ. ანდრეს ფიქრით, ჰაეროსტატს 14 მხარი უნდა გაევლო. მაგრამ ეს შეუძლებელია. თუ რომ ქარის საშუალო ძალასა და ჰაეროსტატის მოწყობილობის მხრივ დაბრკოლებასაც მხედველობაში ვიქონიებთ, მაშინ 7—8 მხარის მეტს ვერას გზით ვერ გაივლის იგი. ამ რიგად ანდრეს 12 დღის მგზავრობა დასჭირდებოდა, რომ პოლიუსი გადაეფრინა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენს ხანს შეუძლიან ანდრეს ჰაეროსტატს ჰაერში ფრენა, ესაც სხვა-და-სხვა გარემოებაზეა დამოკიდებულიო. ანდრეს ჰაეროსტატს, რამდენადაც ვიცი, 30 დღეს შეუძლიან მოქმედება, თუ გაჭირვების დროს

---

აზნის ტალღებს, უალერსებდა, ჰკოცნიდა ფოთლებისაგან ნაჩრდილ მკრთალის სხივებით და თივისუფლების სიტკბოების სასიამოვნო ჰანგებს ჩასჩურჩულებდა... კვლავ გაისმა ჩუმი დუდუნი, მდურება და კვნესა ალაზნისა... გაისმა უდარდელი, ცელქური სისინი, ხტომა, თამაში მოუსვენარ ნიავისა... მთვარე-კი ნელ-ნელა მისრიალებდა და ჰშორდებოდა თავისს პირველს სატრფოს...

აგერ მთვარის შუქმა კურდღელიც გამოიწვია ჩირგვიდგან. შეხე, როგორ გაეთამამა ყვავილებს! ცელქმა ნიავმა იმასაც შემოჰკრა სილა. კურდღელი შეხტა, შემოტრიალდა, ყირაზედ გადავიდა, ყურები შეაწკაპუნა... ალბად იმასაც იამა ნიავის სიცელქე და ეს სიამოვნება თავისებურად გამოხატა...

— კრრრ!.. გაისმა ხმა შუა ტყიდგან. კურდღელმა ყურები ზურგზედ დაიწყო და იქვე ჩირგვის ძირას გაეკრა ყვავილ-ბალახებს.

— შრრრ!.. გაისმა უფრო ახლო და შავმა ღამის ფრინველმა, ნაკვერჩხალსავით მოელვარე თვალებით, გაშლილ კლანჭებით წამოუქროლა კურდღელს... კურდღელი ჩირგვში გაძვრა და გავარდა ჭალისკენ. მაგრამ აქაც წამოეწია ღამის ფრინველი და მაგრად ჩასჭიდა კლანჭი... კურდღელმა გაიწია, მაგრამ ღამის ფრინველმა დროზედ ჩასჭიდა ცალი კლანჭი ხეს, მეორით ახლო მიითრია მსხვერპლი და დაუწყო ბასრის ნისკარტით თავ-პირში რახუნი.

უკ ნასკნელი ხავილი შესაზარად გაისმა მყუდრო ჰაერში... ბუნებამ, თითქო აღშფოთებულმა უდანაშაულო სისხლის დანთხევით, შუბლი შეიჭმუხნა, ჩაინისლა... ნიავიც გაძლიერდა და ისე მძლავრად წამოუქროლა არე-მარეს, თითქოს დედამიწიდგან აღგვას უქადისო...

აღშფოთებულმა ნივმა გაარღვია ხის ტოტები და გაჯავრებული შეენარცხა ტკბილს სიზმრებში გართულს მიხასაც .. მიხამ თვალები წამოაჭყიტა, მიიხედ-მოიხედა, კისერი მოიფხანა, მძიმედ წამოდგა და გაეშურა შარა გზისაკენ..

— დასწყევლოს ღმერთმა, ჩამძინებია... აგერ საცაა ცისკარიც ამოვა.

მიხამ ფეხს მოუჩქარა, მაგრამ რაღაც მოაგონდა, შედგა და უბეზედ ხელი იტაცა.

— აქ არის, ჩაილაპარაკა დამშვიდებით მიხამ, რაკი უბეში ქაღალდები მოჰხვდა და კვლავ ჩქარის ნაბიჯით გასწია სოფლისკენ.

— დილით და მივალ! მიხა აღმოსავლეთისაკენ შეაჩერდა ცასა . კარგა ხანს ჩაფიქრებული მოდიოდა მიხა...

— ღმერთო დამიფარე, რა აზრი არ მოუა კაცს? მაგრამ...—არა, კარგი კი იყო ღვთის წინაშე: წელში გავსწორდებოდი, ცოლშვილს გავახარებდი და...

მიხა კვლავ მიეცა ოცნებას.

— ვიტყვი დავკარგე-მეთქი. განა არ მოხდება? განა არ დამიჯერებენ? ან თუ არა და... მიხა შეყოყმანდა, სულ უარს ვიტყვი. ხელ-წერილი ხომ არა მაქვს მიცემული!..

მიხამ ვითომ ფული დამალა კიდეც, ვისთვინაც უნდა მიეტანა, უარი უთხრა, აი შინაც მივიდა..

— მარიკო, აი ფული ვიშოვნე..

— საიდგან? ვისგან? ვინ მოგცა? ეკითხება განციფრებითა და სიხარულით მარიკო..

— მოიპარე, შე უსინდისოვ? ღმერთს რაღა პასუხს აძლევ? მჭედლის კვერსავით თავში ჩაჰკრა სვინდისის ხმამ..

მიხა შეჩერდა და აქეთ-იქით შიშით დააცეცა თვალები..

— ღმერთმა დამიფაროს, ღმერთმა დამიფაროს! წაიჩურჩულა პირჯვრის წერით და ჩქარის ნაბიჯით შეუხვია სოფლის ორღობისკენ.

— მერე ისიც ვუღალატო და მღვდელს, რომელიც გაჭირვებაში არ მივიწყებს! მერე იმის ძმას, რომელმაც შვილი მომინათლა!.. მირონი შევლახო, უსინდისობა ჩავიდინო! სოსო მიენდო მიხას, როგორც ნათლიმამას და იმან კი...

— არა, არა, იძახოდა მიხა, თითქო აძალადავებდა ვინმე.. არა, არა, სხვისი ოფლი არ მინდა.. ისევ შიმშილით მოვკვდები და... შიმშილის მოგონებაზედ მიხას გულში რაღაცამ უწკმინტა...

— მიხა, ერთი გამოცხობა-ღა გვაქვს, აი რა უთხრა მარიკომ გუშინ დილით... მერე, მერე..

მიხამ ნაღვლიანად თავი ჩაიქნია და მღვდლის ეზოსკენ გადაუხვია... დილის ხუთი საათია. მთელი ბუნება თრთის დილის ცისკრის სუმბუქის მოციმციმე , გრილის ჰაერით . მზე გორის წვერს-ღა აფარია.. მისი სხივები გაიჭიმა და გაჰკვეთა ნისლი, რომელიც ფერდობებზედ გაწოლილიყო და ახლა კი ნელ-ნელა მიიპარებოდა მთების იქით .. ზოგან-კი ეს ნისლი, თეთრს ბამბასავით გადაპენტილი, მძიმ მძიმედ დაცოცავდა ყვავილ-ბალახ ჩირგვებზედ.. აგერ თვითონ მზეც გორის წვერს დაეკრა და ათასნაირად აელვარა არე-მარე... ყვავილებმა გამოიღვიძეს! როგორ უხარიანთ! როგორ თრთის მათზედ ალმასსავით მოელვარე დილის ნამი. სიცოცხლე, სიცოცხლე!.. ბუნება ქებათა ქებას ეუბნება მზეს! სამაგიეროდ, მზეც ათასნაირად ჰქარგავს თავისის სხივებით და უფრო ალამაზებს ისეც ლამაზსა და მდიდარს ბუნებას... ხალხიც სამუშაოდ გამოიშალა, სიმღერაც გაისმა...

მღვდელი აივანზედ გამოვიდა... მიხა მიესალმა მღვდელს ქუდის მოხდით.

— გაკურთხოს, შვილო! მიესალმა მღვდელიც. კაცო, რად დაიგვიანე?

— დამაგვიანეს, შენი ჭირიმე, მიუგო მიხამ: აი, მამაო, სოსომ ფული გამომატანა, ღვინო მიყიდეთო!

— საქორწილოდ?

— დიაღ, საქორწილოდ! მიხამ უბეში ხელი ჩაიყო და ქაღალდი ამოიღო... მაგრამ... მიხამ უბეებში, ჯიბეებში ხელის ცაცუნი დაიწყო, ისევ უბეს დაუბრუნდა... ახლა ჯიბეს, ახლა... მუხლებმა კანკალი დაუწყეს, ხელები შეუთრთოლდა; ისეც ტანჯვის ნაკვთებით დასერილი სახე უფრო დაესერა...

— აი, აი, ის... იძახოდა თრთოლით მიხა და თან ხელებს აფათურებდა...

— რა არის, კაცო, რა დაგემართა? შეეკითხა განცვიფრებით მღვდელი...

— ოხ, ღმერთო, დამკარგვია, ამოიოხრა მიხამ და მეტის სიმწარისაგან თავში ხელი გაირტყა...

მღვდელმა წვერებზედ ხელი ჩამოისო, გადმოეყუდა აივანს და ეჭვის თვალით შეაშტერდა ტანჯვისაგან დაღრეჯილს მიხას... მიხამ კიდევ რაღაც წაილუღლუღა, თვალებზედ ხელი მიიფარა და გატრიალდა უკან...

ვლ. მცხეთელი

ზოგიერთს ბარგს გადმოჰყრიან და შეამსუბუქებენ. ხელშემწყობი გარემოება თუ შეემთხვეოდა, 4½ დღე-ღამეზედმ ეტი არ დასჭირდება, რომ შპიცბერგენიდგან ბერინგის ყურეში გადაფრენილიყო, ხოლო თუ დაბრკოლება რამ შეემთხვა, მაშინ-კი თვე და თვეზედ მეტიც არის საჭიროა". საზოგადოდ ეკჰოლმს იმედი აქვს, რომ ანდრეს ექსპედიცია თავისს აზრს მიაღწევს. მაგრამ თუ დაიღუპნენ, მაშინ ისევ ჰაეროსტატის მცირე ძალა იქმნება მიზეზი და არა ის, რომ ანდრეს სწორედ არ გამოეანგარიშებინოს ქარის მიმართულება ჩრდილო პოლიუსისაკენო.

არა ნაკლებ საყურადღებოა აზრი მეორე სწავლულის, კოპენჰაგენის სამეტეოროლოგო ინსტიტუტის დირექტორის პაულსონისა. პაულსონი ამბობს: „თუ რომ სულ ერთთავად სამხრეთის ქარი უქროდა, ანდრეს მოგზაურობა უთუოდ სასურველად დასრულდება. მაგრამ საქმე ის არის, რომ პოლიუსზედ ქარი ხშირად იცვლის მიმართულებასო. ამისათვის ადვილი მოსალოდნელია, რომ ანდრე პირდაპირ პოლიუსისაკენ ვერ ფრინავდა და ზოგჯერ უკანაც ბრუნდებოდა, მიმართულებას იცვლიდაო... სხვათა შორის, პაულსონი იმ საგანსაც ეხება, შეეძლო თუ არა ანდრეს, რომ ყოველივე ნანახი სისწორით აღენიშნა. ესეც მეტად საეჭვოაო. ვერც იმას შეიტყობდა, პოლიუსზედ წყალია, თუ ხმელი, რადგანაც ზაფხულობით მთელი პოლიუსი სქელის ჯანყით არის მოცულიო. ამ რიგად, თუმცა პაულსონი დარწმუნებულია, რომ ანდრეს მოგზაურობა გამოკვლევის მხრივ ახალს არას შესძენს კაცობრიობას, მაინც იმედი დიდი აქვს, რომ შინ მშვიდობით მობრუნდება. ცნობილი მოგზაური ნანსენიც ამავე აზრისაა.

მას შემდეგ, რაც ანდრე გაფრინდა, აგერ უკვე 23 დღეა და მაინც არსაიდგან რა ისმის, სად არის ანდრე?

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ „ივერიის“ საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ს. ჯუგაანში მცხოვრებელს ზურაბ ისაკის ძე ზედელაშვილს, რომელმაც ჩემ ჟამო რწმუნებულს ჯუგაანის ჯვარის გამოჩინების შლატის ეკკლესიას შემოსწირა, თავისის ხელით საუცხოვოდ ნაკეთები, შუშაბანდიანი კუბო გარდამოხსნისათვის, ღირებული ექვს თუმნად, და აგრეთვე ამავე ხსენებულ ეკკლესიის სტაროსტას, რომელიც დაუღალავად შრომობს ეკკლესიის გამშვენებისათვის.

ჯუგაანის ჯვარის გამოჩინების ეკკლესიის მღვდელი ეგნატე მენთეშაშვილი

1897 წ. 18 ივლისი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 ივლისი.

**რიბინსკი.** ქარავანში ცეცხლი საღამოს 8 საათზედ ჩააქრეს. ზარალი 100,000 მან.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. მალაკანდის თავდასხმის შესახებ ჰამილტონი იუწყება, რომ ფანატიკოს ფაკირების ქადაგებამ წააქეზა ხალხი და ააჯანყაო. 27 ივლისს ინგლისელები მთელს დღეს იბრძოდნენ; მისეული მტერი ყველგან მოიგერეს. ახალს მიმშველ ჯარსა ჰგზავნიან, რადგანაც კვლავ თავდასხმას მოელიან. ინგლისელებმა დაჰკარგეს 11 ჯარის-კაცი და ერთი პორუჩიკი, დაჭრილია 142 კაცი.

**სტოკჰოლმი.** ნორდენშილდი უსაფუძვლოდა სთვლის იმ მოსაზრებას, ვითომ ანდრეს ჰაეროსტატი თეთრს ზღვაში გადავარდნილიყოს. ნორდენშილდსაც იგივე მოსაზრებანი მოჰყავს, რომელიც ნანსენს. დოქტორს ეკჰოლმსაც საეჭვოდ მიაჩნია და უკვირს, დორტრეხტმა რატომ ყურადღებით არ გასინჯა მის მიერ ნანახი უცნობი საგანი. ეკჰოლმი მაინც ურჩევს ექსპედიცია იქმნას გაგზავნილი ვარდედგან თეთრს ზღვაში, რომ ხსენებული საგანი გამოიკვლიონ.

**ბერლინი.** ინგლისმა განაცხადა, რომ 1865 წ. 30 მაისს მიღებულს გერმანიის საბაჟო კავშირის სავაჭრო ხელშეკრულობაზედ უარს ამბობს. ხელ-შეკრულობა თავისს ძალას ერთის წლის შემდეგ დაჰკარგავს.

**ვენა.** მდინარე ვენისა და დუნაის შესართავთან გამართული ოფო ხანგრძლივმა წვიმებმა სრულიად გაგლიჯა. რამდენიმე ხიდი და შემაერთებელი რკინის გზის შტო მთლად წაიღო; კიდევ ბევრს სხვასაც მოელის ეს დღე. პროვინციებიდგანაც იმასვე აუწყებიან, რომ ხიდები წაიღო და გზები წაახდინაო; იშლიც მთლად წალეკილია; მრავალის სახლიდგან მცხოვრებნი გარედ გავარდნენ და თავშესაფარს სხვაგან ეძებენ.

**სიმლა.** გუშინ მალაკანდას მდგომს ინგლისის ჯარს თავს დაესხნენ და ბრძოლა შეექნათ. ბრძოლამ რამდენსამე საათს გასტანა. მტერი უკუმიიქცა და მრავალი ხალხი დაეხოცა. უფროსი მოლა და რამდენიმე უმთავრესი მომხრე დაჭრილ იქმნენ. ინგლისელებს ერთი მოუკლეს და 17 დაუჭრეს. ინგლისის ჯარის ბანაკის მარჯვნივ, გორაზედ, მრავალს ადგილობრივს მცხოვრებს მოუყრია თავი. ზოგიერთის აზრით, ბენერვალნიც აჯანყებულან.

**პრაღა.** წყალმა მთელს ბოჰემიაში იმატა, ნაპირებიდგან გადმოვარდა და გზები და ნათესები დიდად აზარალა. რამდენიმე კაციც იმსხვერპლა.

20 ივლისი.

**იაროსლავლი.** ქალაქი ლიუბიმი იწვის ღარიბთა უბნებში 200 მდე სახლი დაიწვა. დაიწვა: საყდარი, საავადმყოფო, ქალაქისა და ერობის გამგეობა, ფოსტის კანტორა, სამაზრო საკრებულო, აფთიაქი. ხალხი დიდად გაჭირვებულია.

**მალტა.** ინგლისის 400 ქვეითი ჯარის-კაცი კრიტოსში იქმნენ გაგზავნილნი.

**ბრიუსელი.** გამოცხადებულ იქმნა, რომ ინგლისთან სავაჭრო ხელ-შეკრულობა გაუქმებულია.

**ბერლინი.** სილეზიასა და საქსონიაში საშინელი წყალდიდობაა. მრავალს რკინის გზაზედ სიარული სრულიად შესწყდა; მრავალი ხიდი და სახლი წაიღო წყალმა; მრავალი ხალხი იმსხვერპლა. ხალხს დიდი ზარალი მოუვიდა.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ აუწყებენ დეპეშით კონსტანტინოპოლიდგან: „ელჩებმა თავიანთ სახელმწიფოებისაგან ინსტრუქციები მიიღეს, რომ გერმანიის წინადადებას შეუერთდნენ და საბერძნეთის ფინანსებს კანტროლი დაუნიშნონ. ამის გამო შემდეგი სხდომა მშვიდობიან მორიგების შესახებ შაბათს იქმნება“.

ამავე გაზეთს ატყობინებენ ათინიდგან: „მთავრობა არაფერს ჰზოგავს და ყოველს საშუალებასა ჰხმარობს, რომ სამხედრო საზღაურის პირველი ნაწილი ეხლავე გარდიხადოს.

**ჰარსტატი.** შვიდი შვეციელი სწავლული აქედგან არხანგელსკს წავიდნენ გემით.

**სტოკჰოლმი.** იმ 11 გემს, რომელნიც ამ ჟამად ენისეისაკენ მიდიან, სთხოვეს, რომ დორტრეხტის მიერ თეთრს ზღვაში ნანახი ჰაეროსტატის მზგავსი საგანი როგორმე გამოიკვლიონ, თუ რა არის. ეს გემები ამ რამდენისამე დღის განმავლობაში გაივლიან ვარდეზედ.

**კონსტანტინოპოლი.** იმის შესახებ გავრცელებული ამბავი, ვითომ კერძო მამულების წანახედზედ, ბერძენ-ოსმალთა ომის დროს, რაიმე გარდასახადი იყოს დადგენილი, — ტყუილია. თანახმად მშვიდობიან მორიგების პირველ-დაწყებით პირობებისა, ხსენებული გარდასახადი ერთმანეთში შეთანხმებით იქმნება დადგენილი; ხოლო თუ ვერ მორიგდებიან, მაშინ მედიატორეთა სამართლით გარდასწყდება საქმე.

**ლონდონი.** როგორც მალაკანდადგან მიღებულ ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, 20 ივლისს აჯანყებულნი მალაკანდას ჩრდილო მხრივ მდებარე სიმაგრეს ჩაკდარას თავს დაესხმიან. ნაშუადღევის 2 საათიდგან მეორე დღის დილის 8 საათამდე ბრძოლა არ შეწყვეტილა. ინგლისელებს 5 კაცი ჰყავთ დაჭრილი. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა.

**ვენა.** მშვიდობიან მორიგების საქმეში გერმანიის საქციელს ბერძენთა ფინანსების კანტროლის შესახებ „ფრემდენბლატტ“ ი სრულიად ამართლებს. ავსტრიელი ელჩიც ამავე აზრისაა და თავისს გერმანელ მეგობრის წინადებას ეთანხმება. რაკი რუსეთმაც თავისი თანხმობა განაცხადა, დანარჩენ სახელმწიფოთ წინააღმდეგი აღარა ეთქმოდათ-რა. ამბობენ, საბერძნეთმაც თავისი თანხმობა და მორჩილება განაცხადაო ამ საგნის შესახებ. ორთავ სახელმწიფოს — ოსმალეთისა და საბერძნეთის — ინტერესები იმას თხოულობენ, რომ შუამავალ სახელმწიფოთა წინადადება მიღებულ იქმნას.

21 ივლისი.

**პეტერბურგი.** 20 ივლისს, გაიხსნა სრულიად რუსეთის პირველი ცეცხლის საქრობი გამოფენა. დღესასწაულს დაესწრნენ: დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე უავგუსტოეს მეუღლითურთ, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრნი, ზღვათა სამინისტროს გამგე, გუბერნატორი, ქალაქის თავი და სხვა წარჩინებულნი. გამოფენა მშვენივრად არის გამართული. 31 ივლისს იგი შლისელბურგში იქმნება გადატანილი, შემდეგ მდინარე ვოლგაში. ცარიცინში გამოფენა გადატანილი იქმნება 10 ვაგონით, რომელიც გზათა მინისტრმა დაუთმო, ხოლო უკან ხმელეთით იქმნება დაბრუნებული.

**მოლოგა.** 35 სახლი დაიწვა.

**ვალენსია.** რესპუბლიკის პრეზიდენტი, მინისტრებთან დარლან, ბურჟე და რამბოსთან ერთად, აქ მოვიდა და მცხოვრებლებისაგან ალტაცებით იქმნა მიღებული. დრამსის დეპარტამენტის საგენერალო შტაბის პრეზიდენტმა ლუბემ, როდესაც პრეზიდენტთან წარსდგა, სთქვა, რომ მთელი საფრანგეთის გული პრეზიდენტთან ერთად რუსეთში იქმნებაო. ფორმა ასეთი პატრიოტული გრძნობების გამოცხადებისათვის დიდი მადლობა გადაუხადა. ეს გამიადვილებს რუსეთში ჩემი მიზნის განხორციელებასაო.

**ვენა.** მთელი დუნაის მიდამოებში წყალ-დიდობა კიდევ არის.

**კონსტანტინეპოლი.** მოლაპარაკება პორტასთან, მე-2 და მე-3 მუხლის ზოგიერთი ფორმალურის მხრის დაწვრილებით განხილვის შესახებ, გაგრძელებული იქმნება იმ კრებაზედ, რომელიც სამშაპათს უნდა მოხდეს და რომელზედაც იმედი აქვთ დაასრულონ ზავის პირველ-დაწყებით პირობების შესახებ მოლაპარაკება.

**კონსტანტინეპოლი.** ზავის შესახებ მოლაპარაკების გუშინდელს კრებაზედ დასრულებულ იქმნა ელჩების მიერ ზავის ხელშეკრულების დანარჩენი ნაწილი. თევთიქ-ფაშამ წარადგინა ზოგიერთი დამატებითი წინადადება, რომლებზედაც ელჩებმა წერილობით მიუგეს.


# განცხადებანი




ვერცხლისა ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამღებრო ქარხნიდგან (заводъ красокъ) ეძლევათ მათ საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დადგა რა ზაფხული, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს: იატაკებისას, სახურავებისას, კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავება იმაშია, რომ ზეთით არეულ კრასკებს ფუთს მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასალესად კრასკებისა გადავიტანე მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეული ბაღია, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება — ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიჰმართონ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარაშების გამო მსყიდველები მიჰყავთ იქ, სადაც უვარგისს საღებავებს აძლევენ.

ამათ გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარს რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—3)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9 სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—127—7)


Дозволено цензурою, Тифлисъ 21-го Іюля 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.